

ყოველ დღე ორჯაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვებზე

შასი განცხადებონა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ვიროთი—5 კაპ., შატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-წიროს და შეამოკლოს დასაბეჭდ-თ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდო-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოფოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-ში, № 8.
კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სა-ხლებში, № 8.
ხელის-მოწერა მიიღება კანტო-რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ-ШЕ. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗ. „ДРОЕБА“.
გაზეთის შასი: მთელის წლი-ს—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

შასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილის-ში, (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ძალაქს გარეშე მცხო-ვრებთათვის აღრეაი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ДРОЕБА“.

ცალკე ნომერი

„დროებისა“

იხილდება ფოთი-თფილისის რაიონის გზის შავდებ სტანციებზე: თფილი-სის, გორის, ხაშურის, ბაჰათუბნის, ყვირილის, რიონის და ფოთისა.

თითო ნომერი შაური.

ბელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)
ბერლინი, 21 ივნისი. „პოლიტიკურს ძორრესპონდენციაში“ იწერებია: ძონგრესმა საბოლოოთ გადაწყვიტა რუმი-ნიის, სერბიისა და ჩერნოგორიის და-მოუყიდებლობა; ძონგრესმა აღიარა ავ-რეთვე, რომ საზოგადო მშვიდობიანო-ბისა და წესიერების დასაცველად საქი-რო არისო, რომ ბოსნია და ჰერცოგო-ვინა დროებით ავსტრიის ჯარებით იქ-ნება დაჭერილიო; და ოსმალეთის წინა-აღმდეგობა ვერ დაბრკოლებს ამ საქ-მის სისრულეში მოყვანასო.
ამას გარდა ძონგრესის წევრები სრუ-ლიად დათანხმდნენ იმაზედ, რომ რუმინიამ დაუთმოს რუსეთს ბესარაბია, გარდა ღუნაის ჩასართავში მიწის ნაჭერისა, და მაკოვრად რუმინიას ღობრუჯა მიეცეს.
ამ ნაირად ძონგრესმა გარდაწყვიტა ყველა უმთავრესი საგნები, რომელიც კი იმას უნდა განეხილა. დარჩა მხო-ლოთ სომხების საქმე, რომლის თაობა-ზედაც იმედი მალე დათანხმდებიან.
შველა ამ გარემოებებამ სჩანს, რომ

ძონგრესი მალე და მშვიდობიანად გა-ათავებს თავის საქმეს.

შველა ხმები იმპერატორის მილოქო-მის შესახებ, რომ ვითომ ის სამგზე-როთ ემზადებო, უსაფუძვლო ხმებია.

ლონდონი, 22 ივნისი. ბერლინიდან იწერებია, რომ რადგან ოსმალეთის დე-ლეგატებს სტამბოლიდან ბრძანება მო-უვიდათო, ამის გამო ისინი აღარ ეწი-ნალმდეგებიან ახლო, რომ ავსტრიის ჯარები ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში იქმნეს ჩაყენებულთ; მხოლოთ იმ პი-რობას თხოულობენო, რომ ამ თავით-ვე დანიშნული იყოს ვადა ხსენებული ჯა-რების იქ გაჩერებისა.

პრონსტატი, 20 ივნისი. ღღეს, ნასა-დილევის პირველ საათზე, მოღვენის შემდეგ, თავისუფალი ფლოტის პირველ კრესერს „Halsatia“-ს გამოუყვალეს სა-ხელი და დაარქვეს „რუსეთი“; ამის შემ-დეგ ხომალდზე აუშვეს რუსის დროშა და მუხიკამ დაუკრა ნაციონალური გი-მნი. ხომალდი, დროშა და იქ მოსამსა-ხურე პირები წმინდა წყლით ასხურეს. ამ ცერემონიის დროს აქ დაესწრო ძონგრესის პორტის მთავარი კაპანი-რი ღენერალი ძაზაკევიჩი, თავის მეუღ-ლით, და სხვა წარჩინებული პირნი.

კატმარბურლის ბირჟა, 22 ივნისი.
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის	—	96—75
მეორესი	—	96—25
მესამესი	—	96—
მეოთხესი	—	96—12
აღმოსავლეთის	—	95—
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	7—91

თფილ. თავდა-ზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები: მან. კაპ.
პირველი სესხის — — — 241—
მეორე სესხის — — — 238—25

1 მანეთი ღირს:
ლონდონი — 24 — „ პენსი
ამსტერდამი — 126—50 ცენტი
ჰამბურგი — 212—50 ჰენციგი
პარიზი — 261—25 სანტიმი

საქართველო

ღლიური
* * ჩვენ მივიღეთ სურამიდან შემდე-გი წერილი:
„თქვენს გაზეთს „დროებაში“ მე-113 №-ში იყო გამოცხადებული სოფელის ნახახტევის საზოგადოების საჩივარი, რომელიც უჩივოდა მატყუართ პირთა, რომ პოლიციის პრისტავობა დაერქმოთ და საწყალი ხალხისთვის ქათმები და ყველი გამოერთათ—ზაალ შულიჯანოვს, სა-ქო ლოტუეფს და ძარაპეტ მხითაროვს.
„ამაზედ მიიღო სასტიკი ზომიერება ბორის უეზდის ნაჩაღნიკა და სურამის პოლიციის პრისტავმა ღეკანოზოვმა, რომელმაც გუშინ 20-სა ამ თვეს მოახდინა გამოძიება და ნამდვილათ დამნაშავენი აღმოჩნდნენ სამნივე პირები, ამათგან ერთი შუთაისს წასულიყო მხითაროვი და ორი—ზაალ შულიჯანოვი და საქო ლოტულოვი—დაჭერილნი წარუდგინა უფალს ბორის უეზდის ნაჩაღნიკსა და, როგორც ამბობენ. მხითაროვსა და დაჭე-რილს მოიყვანებნო ტელეგრამის ლითა.
„ხალხმა თანხმად და ერთ-პირათ უჩივენა, რომა ნამდვილათ დაგვეცნენო, და პოლიციის პრისტავობა დაირქვაო მხითაროვსა და დანარჩენებმა გვარწ-მუნესო, რომ ჩვენ ბეგრათ გამოგვაყო-ლესო და ეს პოლიციის პრისტავითო, წაიყვანეს ქათმებიო და ვგრეთვე ყველიო.
„თუმცა ბევრი ეცადა აღის სმო-ხების მღველი ღავით მხითაროვი, მა-გრამ ვერა გახდა-რა; თითო ქათამში ხუთ-ხუთი მანეთი აძლია ყველას, რომ ჩვენებაში სხვანაირათ ეჩივენბინათ; მა-გრამ ვრავინ დაეთანხმა, რადგანც ძრი-ელ გული დამწვარი ჰქონდა საწყალ ხალხსა და ძრიელ შემწინებული ჰყავ-დათ ცოლშვილი იმ შემთხვევითა. რო ვერა გახდა-რა, ახლა ბორს წაეიდა და-კვებებული მღველი ტუქსალებთან, რომ ჩაფუშამო ამ საქმესაო. მაგრამ ძალიან ძნელათ, რომა ამან ეს საქმე ჩაფუშოს და ისინი თავდებობით გამოუშვან, რად-განაც გლენებმა ვერ უჩივენეს იმათ სა-

სარგებლოთა და პრისტავმაც კარგათ მოგებრო, რომ შემდეგ სხვა პირთ არ გაბედონ ამისთანა შემთხვევაო.

„იქნება ინებოთ მკითხვით—თუ ეს მღვდელი რათა ცდილობს და რათარის ასე თავ-გამოდებულო? პი მოგახსენებთ: იმიტომა რომ ის ქათმები ამ ღვდლის სახლში მოუტანიათ და ამ მღვდელსაც ამათთან დაუძმუნია, და ახლა ისა ცდილობს, რომ ჩემმა მთავრობამ არ გამიგოსო და ისე გავაჩუმოო საქმეო, თორემ ესეც რომ გაიგონო, ახლა აღარ მაპატიებენო, სამჯერ მაპატივეს ჩემი დანაშაულობაო, მეოთხეთ კი აღარ იქნება თხოვნაო...“

ღმიტრი შარხელი

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ძიზიყის არეულობის თაობაზედ ამჟ მად ას კაცამდინ არის დატუსაღებულო. მთილიანის მოამბე გვაცნობებს, რომ ერთმა ქალმა დატუსაღების დროს თავი მოკლავს და ერთიც მომკვდარა.

* * ბაზეთი „მზხარი“ იწერება, რომ მთილისის უფელში სულ 98 კაცი გაუყვანიათ მილიციისათვის. მომეტებული ნაწილი ამათგანი მარჯვე ბიჭები არიან; შაკრამ ზოგიერთი ისეთებიც ურევიაო, რომელნიც კანონით არ უნდა ყოფილიყვნენ გაყვანილნიო; მაგალითად მოჰყავს ორი პირი, რომელთაგან ერთი 33 წლის არისო და მეორეც ოცახში ერთიო.

შაკრამ გაზეთის სიტყვით, შარაიაზის საპრისტარში მილიციონერების კენჭისყრის დროს მამასახლისებს ქრთამი აუღიათ და ორი ისეთი პირი გაუთავისუფლებიათ სამსახურიდამ, რომელთაც კენჭი ერგოთ და მილიციონერად უნდა გასულიყვნენ. ამ საგნის შესახებ აქტი არის შედგენილი და დამნაშავენი სამართალში მიუტანთ.

* * ძახეთიდან გვატყობენ, რომ წელს აქეთენ ისეთი მოსავალი არისო, რომ გლეხებმა არ იციან—როგორ მოუარონ და სად შეინახონ...

ნუ ეზინიანთ, პატრონი და შემნახველი კი ამოუჩნდება ქართველ გლეხის მოსავალს...

* * მთხვა მთილისის ძალაქის ბამგეობამ გამოუტანდა ამას წინათ ყოველგვარი ხორავის ტაქცია და სხვათა შორის თეთრი პურის ფასი იმ ტაქციაში 4 კაბ. იყო დანიშნული, მაგრამ ჩვენი მფურნეები 4 1/2-5 კაპეკ ნაკლებ მაინც არ ჰყიდნან გირვანქა თეთრ პურს.

მართლაც რომ გასაკვირველია—რისთვის აცხადებს ჩვენი ძალაქის ბამგეობა ტაქციებს, როდესაც იმისაგან დანიშნულ ფასებს კაცი ყურადღებას არ აქცევს...

* * სომხურ გაზეთს „მშაკ“ სწერენ სიღნაღიდან, ვითომ იქაურ ხალხს ეთხოვოს უფლის უფროსისათვის შუამდგომლობა, რომ სიღნაღის სასოფლო (ნორმალური) შკოლა უფლის სასწავლებლად გადააკეთოთო და უფლის სასწავლებელი კი პროგიმნაზიათ.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ წუხელი, 22 ივნისს, ერთს ვილაც პატროსან კაცს დახვედრიან ქუჩაზე ავაზაკები და თავის ხელით ამოუღებინებიათ რაც ჯიბეში ფული ჰქონია, წაუღიად და წასულან.

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ იმერეთში, სოფ. მესხეთში, აზნაურთ ამირაჯიბების ოჯახში იპოება ერთი ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნი, პოემა, სახელად „მახტანგი“ თუ, მგონია, „მახტანგისანი“. ამბობენ, ამ წიგნში მახტანგ მეფას, და მის თანამედროვე ქართველი მწერლებისა და გმირების ცხოვრება არის აწერილი. რადგან ეს წიგნი ჩვენში არ მოიპოება რადგან შესაძლებელია, რომ იმაში ბევრი რამ ისტორიული მასალაც კი მოიპოვოს, ამიტომ ძალიან კარგი იქნება, ხსენებული წიგნის პატრონები რომ იმის გამოგზავნას ინებდნენ „ღროების“ ანუ „ივერიის“ რედაქციაში; აქ განიხილავენ და თუ მართლა კარგი და სასარგებლო წიგნია, დაიბეჭდებ; თუ არა და პატრონი დარწმუნებული იყოს, რომ თავის წიგნი არ დაეკარგება.

* * მართა კაცმა შემოგვიჩილა ჩვენ ამ დღეებში, რომ წყლის დაღვევა მინდოდაო იმ ჰაუზიდან, რომელიც სასახლის წინ, ნაობახტთან არის გაკეთებულიო, მაგრამ მომკვიდნენ სალდათები, მცემეს და ისე გამაგდესო.

მართლა, რატომ არ აძლევენ ხალხს ნებასა, რომ იმ ჰაუზიდან წყალი დალიონ?

„ღ რ ო მ ბ ა“ კორესპონდენცია

მადარო, 16 თბათვეს. ბოლოს ჩვენ სოფელზედაც მოვიდა ჯერი კენჭისყრისა. თბათვის 16-ს, დილით აღრიან შეიკრიბა ხალხი, ჩვეულებისა მებრ დუქნებთან, და ყველა თავის დარდს ჩიოდა, მაგრამ საზოგადოთ კი ისმოდა შემდეგი:

— რა გვიყვებს ეს, გეთაყვა! ახლა ლეკურტატატ უნდა წავიდნენ ჩვენი შეილები და კენჭი ყარონ! მა კენჭი რაღა ღვთის რისხაა, გეთაყვა!

ჩვენდა სამწუხაროდ ერთი ისეთი არავინ აღმოჩნდა ჩვენ სოფელში და აკრეთვე მთელ სიღნაღის მხარაში, რომელსაც მთავრობის ბრძანება ეგრძობებინა ხალხისათვის და ეთქვა: „არა შეილო, ეს არც სალდათია და არც

„ლეკურტა“, როგორც თქვენ ეძახით; ამ ხალხსაც შარშანდღლივით შეილიცისთვის ჰკრეფენ და თუ კენჭისყრა მოხდება, ისევ თქვენ სასარგებლოთვე, რომ მამასახლისებმა და სხვა პირებმა ქრთამები არ აიღონ, როგორც იყო ეს შარშან მაგალითები, სოფელზედ რა ხუთი კაცი ყოფილიყო ასაყვანი მამასახლისი აცხადებდა თხუთმეტს, ათიდან ქრთამს იღებდნენ და ხუთს საწყალ კაცს კი ჰგზავნიდნენ!“

პი, ამ სიტყვების გაზგონე გლეხნი დაჩუმიდებოდნენ და შარშანდღლივით სიხარულითაც გამოვიდოდნენ.

სხვაფრივ ს. მალაროში არც კენჭისყრის წინათ და არც კენჭისყრაში არა უწესობა არ მომხდარა. და თუ შემოხსენებული ხალხის სიტყვები და ზოგი სხვა იმათი შინაურული საუბარი ჰნიშნავენ იმათ უკმაყოფილებას, ეს უკანასკნელიც, როგორც ს. მალაროში და აგრეთვე სხვა ქიზიყის სოფლებშიაც, აიხსენები იმით, რომ სიაში, რომელშიაც იყვნენ აღწერილნი საკენჭო გლეხნი, ბევრი უთანასწორობა და წლოვანობის მეტ-ნაკლებობა იყო. მა უკანასკნელი შეცდომაებიც წლოვანობისა აი რათ იყო:

1873-სწელსა სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწე უ. პრიყანოვსკი დადიოდა სოფლებში კომერალიის შესადგენათ. ამ დროს თურმე ყველა პირველ შეხვედრილ კაცსა, მის წლოვანობას ჰკითხავდნენ, თავის შეილებისას და ძმებისასაც; ეს ჩვენი გლეხებიც ვისაც რამდენი მოუყვიდოდა სურვილზე, იმას იტყოდა; ასე რომ მაშინვე ამ სიაში ბევრი უთანასწორობა და მეტ-ნაკლებობა ჩაჰყვა. ამა მაშინ რა იცოდნენ ჩვენმა გლეხებმა, თუ ბოლოს ე მოხდებოდა, თორე წავიდოდა მაშინვე მღვდელთან, აიღებდა ნათლობის მოწმობას და ისე დაეწერებოდა კომერალიის სიაში.

მხლა კი, როცა საქმე კენჭისყრაზე მივარდა, ყველამ მიატანა მღვდლებს მოწმობისთენ, და ცხადათ აღმოჩნდა შემოხსენებული უთანასწორობა.

ამ უთანასწორობისა და მეტ-ნაკლებობის დამნახვე ხალხი, ამას აწერდა ქრთამების აღებას და ძალიან ანჩხდებოდა: „განა აქაც უნდა ქრთამი იყოსო!“ მაგრამ ბოლოს, როდესაც აუხსნეს ზოგიერთმა პირებმა ხალხს და თითონაც მოაკონდათ, რომ რამდენიმე წლის წინ ისენი ზოგი ტყუილს და ზოგი მართალს წლოვანებას ეუბნებოდნენ უ. პრიყანოვსკის კომერალიის აღწერაში, ეს სწორეთ ის სია არისო, მაშინ ხალხი სრულებით დაჩუმიდა და დაუწყუო ძებნა იმ საშუალობას, რომლითაც შეიძლებოდა დროს გარდასულებისა და შეცდომით დაწერილებისა უკანვე დაბრუნება. მალე ეს საშუალებაც მაზრის უფროსმა გამოუტყბადათ: „მისიც შეილი აწუ ძმა შეცდომით არის დაწერილი, ძოამზადეთ ნათლობის მოწმობებიო, ზედ თქვენი მღვდლისა და პლალაჩინის ბეჭდები და აკრეფენეთო და როდესაც ამ საქმი გამოსაკვლევათ კომისისია მოვა, იმას წა-

რუდგინეთ ვე მოწმობები და თქვენს შვილებს განთავსებულდებიანო.

დაიწყეს კენჭის-ყრა. მაგრამ შესანიშნავი მაში არა იყო-რა: ხალხი მშვიდობიანათ იდგა და ყურს უგდებდა, და მშვიდობიანათაც გათავდა.

მთი მინზე

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! მთხოვთ ამ ჩემ პაწაწინა წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში, რადგან, თუმცა წერილი საქმეა, მაგრამ საზოგადო მნიშვნელობა აქვს:

შარშან მე შევიტანე საჩივარი ილორის საზოგადოების სასოფლო სასამართლოში, რომელშიაც უჩიოდი ამევე სოფლის მცხოვრებს მ. ი. კ.—ს მიწის თაობაზე; ესთხოვდი სასამართლოს მოეწვია ის ჩემი მოპირდაპირე პირი აღნიშნულ სასამართლოში და ჩემი საქმე განეხილათ.

ამაზედ სასამართლომ ჯერ ყურადღება აღარ მიაქცია, მოპასუხეც არ დაიბარა.

ზანელო ნახევარ წელიწადმა; რამდენი ამაზედ ვიარე, ვიტანჯე და რამოდენი მუშაობის ღირება ვაძლედი, იმის ანგარიში ვის აქვს. შემდგომ როგორც იყო გახსენებიათ ეს ჩემი საქმე, მოუყრიათ თავი სამ სუდიას, მამასახლისს და მის პომოშნიკებს—ოთხს, კეთილ-სინიდი-სიანებს და მწერალს—სამს, სულ ათს კაცს და შემომგებარგენნ ოჯახში! შამომიციხადეს—შენს საქმეზედ მოვსულყართო, სადილი დაამზადე და მერე საქმეს მოვკიდებთ ხელსაო. რა ძალა მქონდა, მაშინათვე შეუდგე მათი ბრძანების აღსრულებას.

იმ დღეს არაფერი. მეორე დღეს დაიბარეს ჩემი მოპასუხე; მაგრამ არ მოვიდა, რადგანაც სხვაგან ყოფილიყო. ღარჩინენ მესამე დღემდე. დაიბარეს მესამე დღეს; კიდევ არ მოვიდა: შინ არ იმყოფებო.

როგორც იყო მეოთხე დღეს საღამო ქვამს გამოცხადდა მოპასუხე და შეუდგენენ საქმეს...

იპას არ მოვიხსენიებ აქ, თუ ჩემი საქმე როგორც დაფუძეს; მხოლოდ იმას ვიტყვი, თუ შეიძლება, სასამართლოში დაგვიბარონ მომჩივან-მოპასუხე, იქ განარჩიონ საქმე და არა სოფელში. შარში მოიღვინეთ, ბატონო, საწყალ ღარიბ კაცს ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში ათი კაცის რჩენა რა დაუჯდება, მეტადრე ამისთანა დროში, ჩვენ რომ ვართ ახლა!

ჩვენი ილორის საზოგადოებაში იმისთანა კაცი არ შეგხვდებოთ, რომ ამ მამასახლისისა და სუდიების საყვედურს არ ამბობდეს, არ ემღუროდეს, რომ კანცელარია დაიწყებიათო, სოფელში დაიარებიან საქმის გასარჩევად და ლოთობის და ქრთამის აღების მეტს არას აკეთებენო.

ზღვები მ. შარულაძე

სამტრედია, 20 ივნისს

ოქმის აზრები

კონგრესსი

„ტელნის ბაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი აზრები:

„შმათერესი და უძნელესი დაბრკოლება ბერლინის კონგრესისა არის ბოლგარიის საქმის გადაწყვეტა. ღორდ ბიკონსტილდმა პირ-და-პირ გამოუცხადა გრაფ შუვალოვს, რომ იქნება რუსეთს კარგ პოლიტიკად მიანდესო, რომ ბევრი ითხოვოსო და ცოტა მაინც მიიღოსო; მაგრამ ინგლისი კი ასე არ იტყვებო: ის ერთს სიტყვას იტყვის და ამაზედ ღვას.

—რუსეთმა სან-სტეფანოს პირობა შეჰკრა, ისეთი პირობა, რომელიც თითქმის ბოლოს უღებს და ჰსაბებს მსმალეთის თავისუფალ არსებობა სთქვა ღორდ ბიკონსტილდმა. მე კი მხოლოდ იმ განზრახვით მოველი ბერლინში, რომ მსმალეთის დამოუკიდებლობა დავიცვა. და იმისთვის, რომ მსმალეთს შეეძლოს თავისუფალი არსებობა, აუცილებელად საჭიროა, რომ იმას მაგარი სამზღერები ჰქონდეს, რომ რუსეთს არ შეეძლოს, როცა ენებება, ბალკანის მთებზე დამოიყვანოს თავის ჯარები და დაუბრკოლებლივ მიადგეს სტამბოლს. ამის გამო ბალკანის მთები და იმის გადასასვლელი გზები მსმალეთს უნდა დარჩეს.

—თუ ამ პირობაზე დათანხმდება რუსეთი, მაშინ მე იმედი მაქვსო, დაატანა ბოლოს ბიკონსტილდმა, რომ კონგრესსი რასმეს გაარჩევს და შესაძლებელია მშვიდობიანობა მოხდეს. თუ არა, ომი აუცილებელია და რაც უფრო ჩქარა ატყდება ბრძოლა, ისა სჯობია.“

„ამ სიტყვების შემდეგ შუვალოვმა იმ წამსვე გაგზავნა კურიერი პეტერბურღში და ახალი დარიგება მოითხოვა იქილამ.“

ტელეგრამამ გაცნობა ჩვენ, რომ რუსეთმა დაუთმო ამ საგანში ინგლისს, მსმალეთს მიეცა ბალკანის მთები და ამ მთებზე ციხეების აშენებასა და ჯარების დაყენების უფლება.

რუსის სტამბოლელი ელჩი თ. ღობანოვ-როსტოვსკოი და სტამბოლის მახლობლად დაყენებულა რუსის ჯარის უფროსი ღენ. ტოტლებენი თითქმის ყოველ კვირა სთხოვენ თურმე მსმალეთის მმართველობას, რომ ბოლგარიის ციხეები (შუმლა, მარნა და რუსჩუკი) და აგრეთვე ბათუმი დაგვითმეთო; მაგრამ მსმალეთი მუდამ ამ პასუხს აძლევს, რომ, სანამ კონგრესსი არ გათავდება, ხანებული ციხეების დათმობა ჩვენ არ შეგვიძლიანო.

ამბობენ, ინგლისის წარმომადგენლებმა გამოუცხადეს რუმინის მინისტრებს, რომ ინგლისის ინტერესისათვის ბესარაბიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო და ამიტომ ამ საგნის განხილვის დროს

კონგრესზე ჩვენებით დახმარებას რუ მოვლითო.

ამას გარდა რუმინის ალექსანდრე უფრომე, რომ კონგრესსი თქვენს სრულ-დამოუკიდლებას აღიარებს და მაგიერად თქვენც რუ არავით საქმეებს, დათანხმდით-და, უთმოთ რუსეთს ბესარაბიანო.

როგორც გუშინდელს „ღროებაში“ დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რუმინია ძალა-უნებურად დათანხმებულა ან წინადადებაზე.

ოქმის უამდებ

ბაჭეთს „ბაეკაში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა:

„არზრუმის ჯარის უფროსად, ღენ თ. ჰავტავაძე წასვლის შემდეგ, დანიშნა ღენ. შერემეტიევი. არზრუმის კამენდანტო დანიშნულია ბაქოს პოლკის კამანდირი პოლკოვნიკი შახზეგი; აღრინდელი კამენდანტი არზრუმისა ღენ. ივანოვი შარსის კამენდანტად დანიშნეს.

„ჩვენს სამხედრო სამზღერში სრული წესიერება და მშვიდობიანობა ჰსუფევს; სამზღერ გარეთ კი ხშირათ ცარცვენ ხალხს.“

„რეიტერის სააგენტოში“ იწერებიან არზრუმშილამ:

„ღენ. ღაზარევი მოვიდა არზრუმში და ქალაქის ციხე (კიტადელი) და სამხედრო მასალები ჩაიბარა. რუსები აქ ზამთრის გასათევად ემზადებიან. რადგან რამდენიმე რუსის აფიცერს მოკვლა მოუწდომეს, ამის გამო აქაურს მაჰმადიანებს თოფ-იარაღი ჩამოხადეს.“

„მოსკოვის უწყებებში“ ამნაირად არის აწერილი 17 მაისს ღენ. ტომაროვისაგან ართვინის აზრები:

„ღენ. ტომაროვი 2,000 კაცით შევიდა ართვინში და დაიჭირა ქალაქი. მსმალეობის ჯარი არ გასულა ქალაქილამ; იმათ თავის მმართველობაც კი არ მოშალეს. ამის გამო რუსები ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ და ღენ. ტომაროვმა ბრძანება გ მოსცა, რომ სალდათებს ტანთ-გაუხდელად სძინებოდათ ღამე.

„ორი კვირა დაჰყო ღენ. ტომაროვმა თავის ჯარით ართვინში და შემდეგ სადილი გაუმართა ოსმალთს აფიცრებს, გამოეთხოვა იმათა, გავიდა ქალაქილამ და 15 ევრსის მოშორებით დაბანაკდა თავის ჯარით და იქ მოვლის ახალ ჯარებს. ღენ. ტომაროვს მხოლოდ სამი ზარბაზანი ჰქონდა.“

შენილამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობინებს, ავსტრიის მმართველობა ამ დღეებში გამოსცემს ბრძანებასაო, რომლის ძალითაც ავსტრიის ორზა დივიზიამ ბოსნია და ჰერცეგოვინა უნდა დაიკავონო.

„პოლიტიკურს ძორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი ღეპემა 14 ივნისს სტამბოლილამ გაგზავნილი:

„ოსმალეთის მმართველობამ გამოაცხადებდა, რომ დღეის შემდეგ სანსტეფანოში მიმავალ რუსის ნომადებს რომელნიც ჯარითა და სამხედრო მასალებით იქნება დატვირთული, ბოსფორში შესვლა აღეკრძალებათო.“

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია: ჩვენ მივიღეთ შემდეგი ცნობები სტამბოლიდან: თუ რომ რუსის ჯარები არ გასულიყვნენ ართვინიდან და ღერვიშ-ფაშას არ ეცადა ლაზების დაშოშმანება, უეჭველია, რომ ლაზებსა და ჩვენ (რუსის) ჯარს შუა შეტაკება მოხდებოდა. რამდენიმე ათასი ლაზი, რომელნიც ლიბანისაკენ მიდიან, მზათ არიან შევებან ჩურუქ-სუს ახლო-მანლო ადგილებში დაბანაკებულ რუსის ჯარებს და იმედი აქვთ, რომ, რადგან რიცხვით მომეტებული არიან, დაამარცხებენ მტერს. მაგრამ, როგორც კი შეიტყო ღერვიშ-ფაშამ ეს ამბავი, იმწამსვე მუსტაფა-ფაშა გაგზავნა ართვინში და სთხოვა ღერვიშ-ფაშას, რომ ართვინი დაეცალა, თორემ შეტაკება მოხდებოდა. ღერვიშ-ფაშამ იმწამსვე მომეტებული თავის ჯარები გაიყვანა ართვინიდან და დაბანაკა იქვე მთებზე; ქალაქში კი მხოლოდ ორი როტა დასტოვა.

„ამნაირად ჯერ-ჯერობით თავიდან აიცილეს შეტაკება. მაგრამ ხალხი ძალიან აღელვებულია თურმე.“

„ამას გარდა იმათ აწუხებს ის გარემოება, რომ ჯერ იმათ არ მიუღიათ არავითარი პასუხი ინგლისისგან, რომელსაც გამოუტყდადეს, რომ ჩვენ თქვენი ქვეშევრდომობა გესურსო.“

განცხადებანი

„ქავკასიის წიგნის საეაქრო მაღაზიაში“ (Кавказская Книжная Торговля), ქუკიის

ხილის თავში, ა. ზუბალოვის სახლებში ისყიდება:

1. „სიბრძნე-სიცრუვის წიგნი“ (ქართული არაკები დაზღაპრები მე-XVII და XVIII საუკუნისა) თხზულება საბასულხან ორბელიანისა, რუსულად ნათარგმნი და განმარტებული ალ. ცაგარელითა გან. პეტერბ. 1878.

შასი თითო წიგნისა 1 მან. 50, გაგზავნით რვა აბაზი.

2. „ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში“. ქრიტიკული მიმოხილვა. პეტერ. 1879. რუსული წიგნია, თხზულება ალ. ცაგარელითა.

შასი თითო წიგნისა 75 კაპ., გაგზავნით 1 მან. და 10 კაპ.

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. ჩჩულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში — ყველა წიგნი მაღაზიებში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

შასი ყველგან ექვსი რუბრი.

ახალი წიგნი

„სული თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდეილი

ისყიდება: თფილისში — მართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურ ლურს წიგნის მაღაზიაში“ ქალაქული

„სამხარეული წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. შასი ათი რუბრი.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამხარეული წიგნი. შედგენილი კნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. შასი ათი რუბრი.

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

- 1) დედა მნა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. ჩჩულოვისა ფასი 20კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? ქომელია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
- 4) მუხომის ტჰაოსანი, შოთა ზუსთველისა, ფასი 50 კაპ.
- 5) მუხა ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ ლუქნებში, № 2.

ბარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაინარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის აღრესით: Въ Тифлиси. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ вданіи Кашветской церкви, № 2.

რ.პ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	გაზანდა	მან კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 22 ივნისს.		მრევის მაედანზე, წინამძღვროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ქუთაისს, შოთს	1	შქვ. თუ. ბანჯისა, ფთ.	1 40	სახლებში.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი.	1 20	ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	შერი ფუთი	1 25	კვირას გარდა, დღის 9—1 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარაშვას	2	ბამბა მრევისა, ფუთი	7 50	მ რ შ ა ბ ა თ ს: მიუჩარინაც—ხი-
შვირილი	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 50	რურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფ.
რიონი	6 57		6 75	3 75	იტალიაში და საფრანკეთში.	3 50	ბაშენტილი ბამბა ფუთი.	10	— ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვილი შინაგ.
სამტრედიო	7 51		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთ.	8 50	ავათმყოფობის, რეისი და ბახტორნი
ახ.-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფოტა		— თარაქამისა ფთ.	5 40	— ბეზიაობის თვალის.
შოთი	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
შოთი	9 83				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ძონი, ფუთი	6	—
ახ.-სენაკი	10 14		1 18	- 66	მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—		ძონის სანთელი ფუთი.	8	ნაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და
სამტრედიო	11 5		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		სტეპარინის სანთელი, ფ.	12 70	ნერვების ავათმყოფ.
რიონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	—
შვირილი	1 18	ღამე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—		— ცხვრისა, ლიტრა	99	ნაგანი ავათმყოფ. მაგინსკი—თვალის
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		სპირტი, ვედრო	5 20	და მ.ბრეტი—კბილის.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბროც. ფუთი	7 80	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშვილი—შინაგ.
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		— ფხენილი ფუთი	6 40	ავათმყოფ. ბახტორნი და მიუჩარინცი.
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლია წიგნის	4	შავა გრგვალი, გირვ.	70	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვილი შინაგანი ავათ-
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	შეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13 50	მყფობის, რეისი—თვალის ავათმყოფ.
							თამბაქო, საშუალო ფუთი	8 50	და ბაკეტი—გულის და ნერვების.